

# Programme

Frédéric Chopin

Concerto for Piano and Orchestra No. 2 in F Minor, Op. 21

Frédéric Chopin's Piano Concerto No. 2 is considered one of his most popular and beloved works. Composed in 1829 by the 19-years old genius it remains a staple in the repertoire of pianists worldwide. It was written during a time when Chopin was exploring his musical voice and establishing himself as a pianist and composer. He was deeply influenced by the piano concertos of composers like Mozart and Beethoven, and his concerto follows the traditional three-movement structure of classical concertos. However, Chopin infused his work with his distinct Polish musical heritage, utilizing rich harmonies, intricate ornamentation, and expressive melodies that would later become hallmarks of his style. Interestingly, the Second Piano Concerto was actually written before the First Concerto but published later which led to confusing numbering of the concertos. Chopin's deep emotions for his first love, Konstancja Gładkowska, provided the inspiration for this composition. "As I already have, perhaps unfortunately, my ideal, whom I faithfully serve, without having spoken to her for half a year already, of whom I dream, in remembrance of whom was created the adagio of my concerto", he wrote to Tytus Woyciechowski on October 3 1829. However, the concerto was published several years later with a dedication to Delfina Potocka, one of Chopin's students and a close friend. Piano Concerto No. 2 was first performed on 17 March 1830, in the National Theatre in Warsaw with the composer as soloist. Since then, it has been a popular piece in the classical music repertoire and is frequently performed by pianists and orchestras around the world.

Antonín Dvořák

## Symphony No. 8 in G Major, Op. 88, B. 163

Antonin Dvořák's Eighth Symphony is one of the most popular works of Musical Romanticism, considered by many as the greatest of his nine symphonies. The composer wanted to write a work different from his other symphonies, "with individual ideas worked out in a new manner." And he truly succeeded in that. Still relying on classical structure, Dvořák made use of folk-like melodies of Bohemian character and pictorial elements to create a unique soundscape, saturated with sounds from nature and full of joy. Quite unique was also the choice of the key. Since Haydn and Mozart, no major composer wrote symphonies in G major, as in German-speaking cultures the key was associated with "everything rustic, idyllic and lyrical, every calm and satisfied passion, every tender gratitude for true friendship and faithful love - in a word every gentle and peaceful emotion of the heart," as Christian Schubart wrote in 1784/85 in his "Ideas Towards an Aesthetic of Music." "Such a pity that it is so much neglected these days because of its apparent lightness," he concluded. The apparent lightness of the key, however, did not hinder Dvořák. On the contrary, as one of the critics wrote after the British premiere, "Dvořák alone – though he, too, like Brahms, has sought to keep to the Beethoven school – has been able to bring a distinctly new element into the symphony." The Eighth Symphony was composed in 1889 in Dvořák's country home in a beautiful village, Vysoká, and first performed in Prague's Rudolfinum on February 2 1890, conducted by the composer himself. Since then, Dvořák's Op. 88. has been conquering the public worldwide, evoking gentle and peaceful emotions in our hearts.

Meanwhile in Georgia...

In 1943, the first Georgian symphony was brought to life by the esteemed composer Shalva Mshvelidze (1904-1984). Following this significant achievement, he continued to create five more symphonies, with his final one completed in 1980. His contributions to the realm of symphonic music in Georgia earned him the

distinction of being regarded as one of the pioneers of Georgian symphonism. Even earlier, in 1940, Shalva Mshvelidze had already made a notable impact on Georgian academic music by composing the first large-scale symphonic work in the form of a symphonic poem titled "Zviadauri."

პროგრამის შესახებ

ტექსტის ავტორი ნინო ჟვანია

ფრედერიკ შოპენი

კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის  
No. 2 ფა მინორი, ოპ. 21

ფრედერიკ შოპენის მეორე საფორტეპიანო კონცერტი ითვლება მის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ნაწარმოებად. 19 წლის გენიოსის მიერ 1829 წელს შექმნილი თხზულება უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს პიანისტთა რეპერტუარში. ნაწარმოები დაიწერა იმ დროს, როდესაც შოპენი ჯერ კიდევ საკუთარი ენის ძიების პროცესში იყო. ამ დროს მასზე დიდი გავლენა მოახდინა ისეთი კომპოზიტორების საფორტეპიანო კონცერტებმა, როგორცაა მოცარტი და ბეთჰოვენი. მეორე კონცერტი მიჰყვება კლასიკური კონცერტების ტრადიციულ სამნაწილიან სტრუქტურას, თუმცა შოპენმა შეავსო ეს სტრუქტურა პოლონური მუსიკალური კულტურის ელემენტებით. მან გამოიყენა პოლონური მუსიკის მდიდარი ჰარმონიები, რთული ორნამენტები და ექსპრესიული მელოდიები, რაც მოგვიანებით მისი სტილის მახასიათებლად იქცა. საინტერესოა, რომ მეორე საფორტეპიანო კონცერტი პირველ კონცერტამდე ადრე შეიქმნა, მაგრამ ის მოგვიანებით გამოქვეყნდა, რამაც გამოიწვია კონცერტების დამაბნეველი ნუმერაცია. კონცერტის შთაგონების ერთ-ერთ წყაროდ იქცა შოპენის სიყვარული კონსტანცა გლადკოვსკას მიმართ. „სამწუხაროდ, მე უკვე მყავს ჩემი იდეალი, რომელსაც ერთგულად ვემსახურები ისე, რომ მისთვის უკვე ნახევარი წელია ხმა არ გამიცია; მე მასზე ვოცნებობ და სწორედ მისთვის შეიქმნა ჩემი კონცერტის ადაჯიო“, - წერდა იგი ტიტუს ვოიჩეხოვსკის 1829 წლის 3 ოქტომბერს. თუმცა, როდესაც კონცერტი რამდენიმე წლის უკვე გამოქვეყნდა, მისი პირველი რეპერტუარული გამოცდა მოხდა 1830 წლის 11 თებერვალს, როდესაც შოპენმა პარიზში დაიწყო მისი კონცერტების პირველი ტურნე.

ძემდეგ გამოეკეცა, ძიძვის ადრესატი გახდა დელფინა პოტოცკა - შოპენის ერთ-ერთი სტუდენტი და მეგობარი. მეორე საფორტეპიანო კონცერტი პირველად 1830 წლის 17 მარტს ვარშავის ეროვნულ თეატრში შესრულდა. სოლისტი თავად კომპოზიტორი გახლდათ. მას შემდეგ კონცერტი კლასიკური მუსიკის სამყაროში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და მას ხშირად ასრულებენ მთელს მსოფლიოში უდიდესი პიანისტები და ორკესტრები.

ანტონინ დვორჟაკი

სიმფონია No. 8 სოლ მაჟორი, თხზ. 88. B. 163  
დვორჟაკის მერვე სიმფონია რომანტიზმის ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაწარმოებია, რომელსაც ხშირად ჩეხი კომპოზიტორის ცხრა სიმფონიიდან უდიდესად მოიხსენიებენ ხოლმე. დვორჟაკის თქმით, მას სურდა „ახალი სახით დამუშავებული ინდივიდუალური იდეების“ საფუძველზე საკუთარი სიმფონიებისგან სრულიად განსხვავებული სიმფონია შეექმნა. და მან ეს შეძლო. კლასიკურ სტრუქტურაზე დაყრდნობით, დვორჟაკმა უხვად გამოიყენა ბოჰემური ხალხური მელოდიები და აღწერითი ელემენტები, რათა შეექმნა უნიკალური ბგერითი პეიზაჟი, გაჭერებული ბუნების ხმებით და აღსავსე ყოვლისმომცველი სიხარულით. უნიკალურია ასევე სიმფონიის ტონალობაც. ჰაიდნისა და მოცარტის შემდეგ არც ერთ მნიშვნელოვან კომპოზიტორს არ დაუწერია სიმფონია სოლ მაჟორში. გერმანულენოვან კულტურებში ეს ტონალობა ასოცირდებოდა „ყველაფერთან, რაც სადა, იდილიური და ლირიკულია; ასევე მხოლოდ მშვიდ და კმაყოფილების მომგვრელ ვნებასთან, მეგობრობისა და ერთგული სიყვარულისთვის განუღ სათუთ მადლიერებასთან; ერთი სიტყვით, გულში დაბადებულ უნაზეს და უდრტვინველ გრძნობებთან“. ასე აღწერა სოლ მაჟორი გერმანელმა კომპოზიტორმა კრისტიან შუბარტმა 1784/85 წლებში შექმნილ ნაშრომში „იდეები მუსიკის ესთეტიკისათვის“. „რაოდენ დასანანია, რომ დღესდღეობით ეს ტონალობა მორჩენებითი სიმსუბუქის გამოისობით უკუთარბოყოფილია“ - წიხთა ივი თომცა.

ტონალობის მორვენებითმა სიმსუბუქემ ხელი არ შეუშალა დვორჟაკს. პირიქით! როგორც ბრიტანული პრემიერის შემდეგ ერთ-ერთმა კრიტიკოსმა დაწერა, „მხოლოდ დვორჟაკმა (თუმცა ის, ბრამსის მსგავსად, ბეთჰოვენის სკოლის გამგრძელებელია) შეძლო სიმფონიის ჟანრში ახალი ელემენტების შეტანა“. მერვე სიმფონია დაიწერა 1889 წელს დვორჟაკის სოფლის სახლში, ულამაზეს დაბა ვისოკაში და პირველად შესრულდა 1890 წლის 2 თებერვალს პრაღის რუდოლფინუმში. კონცერტს უდირიჟორა თავად კომპოზიტორმა. იქიდან მოყოლებული დვორჟაკის თხზ. 88 მთელს მსოფლიოში იპყრობს მსმენელთა გულებს, აღძრავს რამათში უნაზეს და უდრტვინველ გრძნობებს.

ამ დროს საქართველოში...

პირველი ქართული სიმფონია 1943 წელს დაწერა შალვა მშველიძემ (1904-1984). მან კიდევ ხუთი სიმფონია შექმნა, მათგან უკანასკნელი - 1980 წელს. მშველიძე ასევე ითვლება ქართული სიმფონიზმის ფუძემდებლად. 1940 წელს მან დაწერა პირველი მასშტაბური სიმფონიური ნაწარმოები ქართულ აკადემიურ მუსიკაში - სიმფონიური პოემა „ზვიადაური“.



31-10 September  
August 2023

5TH ANNIVERSARY